№ 119

ფასი 1 მან.

წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე

წელიწადი მეორე

ყოველდღიური გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

სამშაბათი, 3 ივნისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ოთხი საგასტროლო წარმოდგენა

ხუთშაბათს, ივნისის 5, ტ. ს. ორდას მონაწილეობით **„რიგოლეტო".** შაბათს, მაისის 7 ს, ტ. ს. ორდას და მ. ს. დავიდოვას მონაწილეობით **„სევილიელი დალაქი".** კვირას, მაისის 8, ორდასა და ალეშკოს მონაწილეობით **„ტოსკა".** სამშაბათს, მაისის 10, ალეშკოს და ორდას მონაწ. **„ევგენი ონეგინი".**

საქართველოს
სახაზინო რკინის გზების მმართველობა

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ბ. გზათა მინისტრის ნებართვით მე 6 მ. წესდების ძალით სადგურ ტფილისში მთავარ საბაჟოსთან 5 ივნისიდან ამა 1919 წ. გაიხსნება საბაჟო საექსპედიციო სააგენტო, რომელიც ხელს შეუწყობს სწრაფად გამვლელ საქონლის და ბარგის გასინჯვას საბაჟოს მიერ, საბაჟო წესების შესასრულებლად საქონლის და ბარგის პატრონთა დაუსწრებლად. სააგენტო ხარჯების დასაფარავად საქონლის და ბარგის პატრონთ გადახდებათ შემდეგი გადასახადი: ყველა საქონელზე, როგორც ნელი აგრეთვე სწრაფი სიჩქარით ფუთზე 1 კაპ. და არა ნაკლები თითო საბუთზე 6 მანეთისა. ბარგზე თითო საბარგო ბარათით ერთ ცალზე 5 მან.; იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ბარათით იგზავნება რამოდენიმე ცალი, პირველ ცალზე 5 მ. და დანარჩენებზე თითო მანეთი. განმარტება სააგენტოს დებულებისა შეიძლება მიიღონ ტფილისის სადგურის უფროსისაგან. 979 3—1

ზუგდიდის

მაზრის ერობის გამგეობა

იწვევს ერთს მომრიგებელ მოსამართლეს დარჩელის უბნისთვის, ჯამაგირი ათასი მან. თვეში. თხოვნები და გავლილი სამსახურის საბუთები წარმოსადგენია ზუგდიდში ერობის გამგეობაში. 974 3—2

ჭიათურის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საჭიროა ქალაქს აფთიაქის გამგე—**პროვიზორი-ბაქტერიოლოგი.** მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ქალაქის გამგეობას ამა წლის 1 ივნისამდე. 947 3-2

ტფილისის

მაზრის საერობო გამგეობა

აცხადებს, რომ ერობისათვის საჭიროა ოცამდე ცხენი და 7—8 სხვა და სხვა გვარი ეტლი. პირობების გაგება შეიძლება ერობის ტეხნიკურ განყოფილებაში, დამფუძნებელ კრების ქ., № 6. 965 2—1

[illegible]

[illegible]

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

17 მაისი, 1919 წ.

№ 48.

გამორიცხულია სამინისტროს მოხელეთა სიიდან: შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილების უფროსი დავით გრიგოლის ძე ელიავა, ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სამსახურში შესვლის გამო, ამა წლის 1 მაისიდან.

მინისტრის ამხ. **ჩიჩინაძე.**

19 მაისი, 1919 წ.

№ 49.

ინიშნება: პოლიკარპ ლანდია ბორჩალოს მაზრის კომისრად.

გამორიცხულია სამინისტროს მოხელეთა სიიდან: ბორჩალოს მაზრის კომისარი ავქსენტი აფაქიძე მისი ზუგდიდის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ არჩევის გამო.

შინაგან საქმეთა მინისტრი
ნ. რამიშვილი.
კანცელარიის დირექტორი
აფაქიძე

20 მაისი, 1919 წ.

№ 50.

შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი 1918 წ. 1 აგვისტოს ბრძანებით საქართველოს ტერიტორიაზე ერობის შემოღების ინსტრუქტორად დანიშნული, ვლადიმერ ალექსანდრეს ძე იანოვიჩს მიკუთვნებული აქვს 1918 წლის 1 აგვისტოდან ჯამაგირი 1.500 მანეთი თვეში საერობო თანხიდან.

მინისტრის ამხანაგი
ჩიჩინაძე.
კანცელარიის დირექტორის მაგ.
გ. ნანეიშვილი.

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.

20 მაისი, 1919 წ.

№ 26.

დანიშნულია: ცხინვალის ფოსტა-ტელეგრაფის მე-6 კლ. კანტორის თანაშემწე ნიკოლოზ პატარიძე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ მე-4 ხარ. ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში 21 მაისიდან 1919 წ.

გადაყვანილი არიან: ფოსტალიონები ანაკლიის ფოსტის განყოფილებისა აქსენტი ქობალია, მანგლისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ვარლამ ქირია, ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის დავით ჯავახიშვილი (იგივე სარალიძე) ტფილისის ფოსტის კანტორის დომენტი კაკულია და გრიგოლ კუხალაშვილი, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ანანურის ფოსტა ტელეგრაფის განყოფილების მე-5 ხარ. ზაქარია სულხანიშვილი, ფოსტა ტელეგრაფის კანტორის: ქუთაისის მე 4 ხარ. თამარა რუსაძისა, ახალციხის მე-5 ხარ. მოხელის თანამდებობის ამსრულებელი ივანე მესხიძე, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის დროებით დაქირავებული მე-6 ხარ. მარიამ კაპანაძისა, კაკულია ანაკლიის ფოსტის განყოფილებაში, ქირია და კუხალაშვილი ბაშკიჩეტის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, ჯავახიშვილი ახალციხეში, ქობალია ტფილისის ფოსტის კანტორაში, კაპანაძისა ქუთაისში, მესხიძე აბასთუმანში, სულხანიშვილი და რუსაძისა ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში. სულ ყველანი 21 მაისიდან 1919 წ. კაკულია, კუხალაშვილი, ქირია, ქობალია, კაპანაძისა, მესხიძე და რუსაძისა თანახმად თხოვნისა.

გადაყვანილია: ფოსტალიონი ბაშკიჩეტის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა ვარლამ ქირია ტფილისის ფოსტის კანტორაში 21 მაისიდან თანახმად თხოვნისა.

გამორიცხულნი არიან სამსახურიდან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა: ბორჯომის მე 4 ხარ. იოსებ ბეროზაშვილი, გორის მე-II ხარ. დავით ქიტიაშვილი, ტფილისის ტელეფონის ქსელის მე II ხარ. ალექსანდრა რუაკსენკისა და მე-4 ხარ. თაკუი (იგივე თამარი) სიმეონიანცისა ოთხივე სიკვდილის გამო, რუაკსენკისა 6 ნოემბრიდან, სიმეონიანცის 24 ოქტომბრიდან 1918 წ. ბეროზაშვილი 16 მაისიდან, ქიტიაშვილი 17 მაისიდან 1919 წ.

ხელს აწერენ: ოლქის უფროსი
მგელაძე.
საქმის მწარმოებელი
თულაშვილი.

—

ბრძანება

როგორც შევამჩნიე, ქალ ქ. ტფილისში, მილიციონერები სისხლის სამართლის და აგრეთვე ქალაქის მილიციისა, თავის ნებით, პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა დაუსწრებლად, სახლებში ჩხრეკას ახდენენ, როგორც დღისით, აგრეთვე ღამითაც. მილიციონერების ასეთ მოქმედებას ვსთვლი უკანონოთ, რადგანაც ჩხრეკის დროს შესაძლებელია მოხდეს სხვა და სხვა ბოროტ მოქმედება, რაიც გამოიწვევს მოქალაქეთა შორის საფუძვლიან საჩივრებს, ამისთვის კატეგორიულად მოვითხოვ რომ ჩხრეკა ხდებოდეს, როგორც სისხლის სამართლის, აგრეთვე ქალაქის მილიციის პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა თანდასწრებით ე. ი. სისხლის სამართლის მილიციის უფროსის, ან მისი თანაშემწის, კომისრის ან მისი თანაშემწის ხელმძღვანელობით და რამდენათაც შესაძლებელია უნდა ეცადონ, რომ ჩხრეკა ღამით არ ხდებოდეს, გარდა ზოგიერთ სერიოზულ და საჩქარო შემთხვევებისა.

აგრეთვე კატეგორიულად მოვითხოვ, რომ იარაღის ჩამორთმევაც აღნიშნული წესით ხდებოდეს. თუ გარემოება მოითხოვს, რომ ვინმეს იარაღი უნდა ჩამოერთვას, მილიციონერი იმას მიიწვევს კომისარიატში, სადაც პასუხის მგებელ თანამდებობის პირი ჩამოართმევს მას იარაღს, თუ ამას საჭიროთ დაინახავს, დოკუმენტების გასინჯვის შემდეგ.

უკეთუ ასეთ მოთხოვას ვინმე წინაღდებობას გაუწევს, იმ შემთხვევაში მილიციონერმა თვითონ უნდა ჩამოართვას მას იარაღი და დაკავებული იარაღით წარადგინოს სისხლის სამართლის მილიციის უფროსის კანცელარიაში, ან უბნის კომისარიატში შემდეგი განკარგულებისათვის.

ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსი
ვ. ხულაქველიძე.

[illegible]

მთავრობაში

27 მაისის სხდომა.

სხდომას დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე ბ.-ნი ნ. ჟორდანია, მინისტრები: ბბ. ხომერიკი, კანდელაკი, რამიშვილი. მინისტრთა ამხანაგები ბ. ბ.: ცინცაძე, ერაძე, ჩიჩინაძე, გედევანიშვილი, გელეიშვილი, საბახტარაშვილი, დეპარტამენტის დირექტორები: ბბ. ჩიჩინაძე, ჭანტურიშვილი, აფხაზეთის კომისარიატის თავჯდომარე ბ. ემუხვარი. საქმეთა მართველი ა. ჯაფარიძე. მდივნობს ბ. ლომთაძე.

უარი სასჯელის შეცვლაზე.

უყურადღებოდ იქმნას დატოვებული შუამდგომლობა იაკობ მიხეილის ძე და ვასილ ზაქარიას ძე ნაცვლიშვილების, ტფილისის საგანგებო სასამართლოს 1919 წ. მაისის 19-ის დადგენილებით გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ.

სიკვდილის სასჯელის შეცვლა.

შალვა ანტონის ძე ესებუას და ლეონ ალექსანდრეს ძე გალუსტოვს, რომელთაც ტფილისის საგანგებო სასამართლოს 1919 წ. მაისის 6-ის დადგენილებით გადაწყვეტილი აქვთ სიკვდილით დასჯა შეეცვალოთ პირველს 10 წლით და მეორეს 15 წლის კატორღით.

უარი სასჯელის შეცვლაზე.

ვლადიმერ ალმასხანის ძე მეფარიშვილის შუამდგომლობა უყურადღებოთ იქნას დატოვებული.

—

კონსტანტინე გიორგის ძე ნაკაიძეს და ნიკოლოზ მიქაბერიძის შუამდგომლობა უყურადღებოთ იქნას დატოვებული.

ეროვნულ მამულების მუშებს.

უფლება მიეცეს მიწათ მოქმედების სამინისტროს ეროვნულ მამულების შემოსავლიდან მისცეს წინანდლის, ნაფარეულის და მუკუზნის და სხვათა მამულებში თვიურ მუშებს, გაფიცვის გამო მომხდარ თათბირის დადგენილების თანახმათ სამინისტროს მიერ და ნაპირები მომატება (50%, ძირითად ჯამაგირებზე) პირველ იანვრიდან,

სატარიფო პალატის დაარსება.

დაარსებულ იქნას შრომის უწყებასთან სატარიფო პალატა შრომის, ხელ-ფასის საკითხის მოსაწესრიგებლათ. ნება მიეცეს შრომის სამინისტროს გამოიყენოს შრომის უწყების შესანახ ხარჯთ-აღრიცხვიდან, ეკონომიით დარჩენილი თანხები სატარიფო პალატის მოსაწყობ ხარჯების დასაფარავათ.

ტანთ-ვარჯიშობისათვის თანხა.

გადაიდოს განათლების სამინისტროს განკარგულებაში 6000 მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან რესპუბლიკის სკოლებში ტანთვარჯიშობის საქმის გეგმის შესადგენ ხარჯების დასაფარავათ.

კანონ-პროექტი მასწავლებელთა კურსების შესახებ.

წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვით თვითეულ მსმენელის თვიურ ხარჯათ ნავარაუდევი 400 მან. შემცირებულ იქნას 200 მანეთამდე. ხარჯთ-აღრიცხვის ამ მუხლით ნავარაუდევ თანხის მეორე ნახევარი (200 მან.×250×2=100000 მან. დაეკისროს ერობებს) ასეთი შესწორებით კანონ პროექტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

არქივის შტატი.

შემუშავდა და გაეგზავნა სახელმწიფო კონტროლს ქუთაისის საგუბერნიო დაწესებულებათა არქივის ახალი შტატის პროექტი, რომელიც იარსებებს ადმინისტრაციის ინსპექტორის ქუთათური თანაშემწის კანცელარიასთან.

ახალციხის მაზრისთვის.

მუშავდება შინაგან საქმეთა კანცელარიის ადმინისტრატიულ განყოფილების მიერ ახალციხის ადმინისტრაცია—მილიციისა და ცხენოსანი მფრინავი რაზმის შტატები.

კახეთის რკინის გზის მილიცია.

შემუშავებულია და ამ დღეებში წარეგზავნება სახელმწიფო კონტროლს რესპუბლიკის სახაზინო და კახეთის რკინის გზების მილიციის შტატი.

ერობათა ცენტრის პროექტი.

საქართველოს ერობათა ცენტრალურმა ბიურომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინა პროექტი ადმინისტრაციის შტატების შესახებ: ამ პროექტით მილიციის უფროსს ეძლევა ჯამაგირი—1600 მან. უფროს ცხენოსან მილიციელს 1050 მ. უნცროს ცხენოსან მილიციელს 1000 მან. ქვეითა უმცროს მილიციელს 600 მან. სოფლის მილიციელს 400 მან. სულ მილიციის შესანახი ხარჯები უდრის 13135113 მან.

—

„საქართველოს რესპუბლიკის" № 117 მოთავსებული ჩემს შესახებ ცნობა სინამდვილეს არ შეიცავს. სასამართლოს უწყებები ყველა მიღებისთანავე ეგზავნებათ რაიონის და სოფლის კომისრებს, დამოუკიდებლათ შესასრულებლათ. არც ერთი დეპეშა არ მიმიღია, რომ თავის დროზე პასუხი არ მიმეცეს. თუ უწყებები თავის დროზე არ მიდის დანიშნულებისამებრ, ამაში ყველაზე მეტი დანაშაულობა მიუძღვით სასამართლოს იმ მოხელეებს, რომლებიც აგვიანებენ უწყებების გადმოგზავნას. ისეთ საყურადღებო საქმეზე, როგორც აფიცერ წერეთელის მოკვლა იყო, უწყებები მივიღეთ იმავე დღეს, რა დღესაც საქმე ირჩეოდა და ისიც გამოუგზავნეს ქალაქ გორის კომისარს და არა მე. გთხოვთ ამის შესახებ მიწერ-მოწერა გამომიგზავნოთ, რათა დაწვრილებითი პასუხი მოგახსენოთ.

მაზრის კომისარი **ქარცივაძე.**

საგარეო საქმეთა სამინისტროში

სამხედრო გემის „ტარიელის" ზღვაში ჩაშვება.

სამხედრო-სამინისტროს გენერალურ შტაბის განყოფილებამ ფოთიდან კაპიტან გოგავასაგან მიიღო დეპეშა, რომლითაც იტყობინება, რომ 26 მაისისათვის ზღვაში ჩასაშვებათ გაამზადეს ქართული სამხედრო გემი „ტარიელი".

სახალხო განათლების სამინისტროში.

ბეჭდები საშუალო სასწავლებლების.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა, განათლების სამინისტრომ უკვე კარგა ხანია აცნობა პროვინციის გიმნაზიებს, რომ მათ სასწავლებელთათვის სათანადო სახელმწიფო ბეჭდების დასამზადებლად უნდა მიემართათ ტფილისში ბ-ნ შარლემანისათვის, რომელსაც თავის დროზე და წესიერად უნდა მიეწვდინა პროვინციის გიმნაზიებისათვის დაკვეთილი ბეჭდები. ამავე დროს კი პროვინციიდან მრავალი საჩივარი მოსდის განათლების სამინისტროს, რომელშიც ისინი ატყობინებენ სამინისტროს, რომ ბ-ნი შარლემანი სრულებით უწესოთ და დაუდევრათ ეკიდება ნაკისრ მოვალეობის ასრულებას, რის გამოც პროვინციის სასწავლებლებს დღესაც არ მოეპოვებათ სათანადო ბეჭდები, რაიც თავის და თავად ძლიერ აბრკოლებს საქმის (მიწერ-მოწერის) რიგიან მსვლელობას.

განათლების სამინისტრომ მიიღო, რა ყოველივე ეს მხედველობაში, სათანადო მიწერილობა გაუგზავნა მთავრობის საქმეთა მართველობას, რათა მან მოახდინოს სწრაფი განკარგულება ბ-ნ შარლემანის მიმართ, ხსენებულ საკითხის შესახებ და მით საბოლოოდ გამოარკვიოს ბეჭდების პროვინციისათვის დამზადების საკითხი.

ტერ-სტეფანოვის სახელობის სავაჭრო შკოლის დახურვა.

რადგან განათლების სამინისტროს მიერ მოწყობილმა რევიზიამ კერძო სასწავლებისამ აღმოაჩინა დიდი დაუდევრობა და სწავლების საქმის არა თავის დონეზე დაყენება ტფილისის ტერ-სტეპანოვის სახელობის სავაჭრო სკოლაში, ამიტომ უმაღლეს და საშუალო სკოლათა მთავარ-გამგის ბ ნ სერგი დანელიას განკარგულებით ხსენებული სასწავლებელი დახურულ იქმნა.

მთავრობის თავმჯდომარის მოთხოვნილება.

თანახმად მთავრობის თავმჯდომარის მოთხოვნილებისა, სახალხო განათლების სამინისტრომ უკვე გაუგზავნა მთავრობის თავმჯდომარის კანცელარიას ყველა მოხსენებების, განკარგულებების, ცირკულიარების პირები, სახელმძღვანელოდ და გასაცნობათ.

ტფილისის ბუხგალტერიის კურსები მელიქ-კირაკოზოვისა.

ტფილისის მელიქ-კირაკოზოვის ბუხგალტერიის კურსების გამგეს წინადადება მიეცა განათლების სამინისტროს მიერ, რათა მათ ათი დღის განმავლობაში მონახონ შენობა კურსებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში კურსები, სამინისტროს განკარგულებით დახურული იქნება.

თბილისის საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის პოლიტეხნიკუმად გადაკეთება.

განათლების სამინისტროს აზრადა აქვს თბილისის საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის საშუალო პოლიტეხნიკუმად გადაკეთება. ხსენებულ პოლიტეხნიკუმში მეცადინეობა იქნება ევროპიულ პოლიტეხნიკუმების მგზავსად. სათანადო კანონპროექტი, შტატებითა და ხარჯთ-აღრიცხვით ამ მოკლე ხანში წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად და დამფუძნებელ კრებისათვის გადასაცემად.

ცირკულიარი საქართველოს რესპუბლიკის საშუალო სასწავლებელთა უფროსებს.

განათლების სამინისტრომ შემდეგი შინაარსის ცირკულიარი დაუგზავნა რესპუბლიკის ყველა საშუალო სასწავლებლების უფროსებს:

განათლების სამინისტრო ამით გაცნობებთ, რომ საჭიროა წარმოადგინოთ სამინისტროში ცნობები, რწმუნებულ თქვენდამი სასწავლებლის პირადი შემადგენლობის შესახებ. (სახელი და გვარი მასწავლებლისა, მისი განათლების ცენზი, რა საგანს ასწავლის და რამდენი გაკვეთილი აქვს კვირაში.)

ცირკულიარი საშუალო სკოლების უფროსებს.

განათლების სამინისტრომ შემდეგი შინაარსის ცირკულიარი დაუგზავნა რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლების უფროსებს.

გთხოვთ 27 მაისამდის წარმოადგინოთ ცნობები რწმუნებულ თქვენდამი სასწავლებლის მოწაფეთა რაოდენობის შესახებ, კლასის, ეროვნების და სქესის მიხედვით.

ცირკულიარი საშუალო სასწავლებელთა უფროსებს.

განათლების სამინისტრომ შემდეგი შინაარსის ცირკულიარი დაუგზავნა რესპუბლიკის საშუალო სასწავლებელთა უფროსებს:

„განათლების სამინისტროს მიერ მოწყობილმა რევიზიამ აღმოაჩინა, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა სასწავლებლის ქონებას, რის გამოც მრავალი ნივთი იკარგება.

ამიტომ წინადადებას გაძლევთ მიმდინარე სასწავლო წლის გასვლისას მოახდინოთ სათანადო გადასინჯვა სასწავლებლის ქონებისა, ინვენტარის წიგნის მიხედვით. ამასთანავე აღნიშნულ უნდა იქნას დაკარგულ ნივთების ღირებულება და იმ პირთ კი, რომელთაც ხსენებული ქონება ჰქონდათ მიბარებული უნდა მოეთხოვოს სათანადო პასუხი. შედეგი რევიზიისა უნდა გვეცნობოს".

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში.

კოოპერატივთა ბანკი.

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს წარუდგა კოოპერატივთა ყრილობის თავჯდომარე სვ. მაჭავარიანი და მოახსენა რომ საჭიროება მოითხოვს საქართველოს კოოპერატიული ბანკის დაარსებას.

ბ. მინისტრმა გულდასმით მოუსმინა მოხსენება, აღუთქვა ყოველივე დახმარება, და მოსთხოვა ვრცელი დასაბუთებული მოხსენების წარდგინა ამ საკითხის შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტ. ბ-ნ ევ. პ. გეგეჭკორის განცხადება

დამფუძნებელ კრების პირველი ივნისის სხდომაზე.

თავმჯდომარეობს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ალექსანდრე ლომთათიძე.**

კრება იწყება ნაშუადღევის 1 ს. 7 წუთზე.

თავმჯდომარე სხდომა გახსნილი გახლავთ. გთხოვთ დაბრძანდეთ.

დღევანდელი სხდომა სასწრაფო სხდომაა დამფუძნებელი კრებისა. პრეზიდიუმმა ის დანიშნა იმისთვის, რომ დამფუძნებელმა კრებამ მოისმინოს განცხადება რესპუბლიკის მთავრობისა.

პირველი სიტყვა ეკუთვნის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ. გეგეჭკორს.

საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორის განცხადება.

მოქალაქენო, დენიკინის შავი ლაშქარი ჩვენს ქვეყანას ემუქრება, და მე მთავრობის დავალებით მინდა გაგაცნოთ თქვენ ფაქტიური მდგომარეობა ჩვენი რესპუბლიკისა.

თქვენ იცით, რომ მოხალისეთა ჯარმა დაიკავა პეტროვსკი და დერბენტი.

მთიელთა მთავრობამ და პარლამენტმა იარაღი დაჰყარა და ამნაირად თითქოს დღესდღეობით დენიკინი მფარველია მთიელთა რესპუბლიკისა; მაგრამ, ნურავინ თქვენგანი ნუ იფიქრებს, რომ მართლაც იქ მოხდა გამარჯვება დენიკინის ძალებისა. ის, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ დღეებში მთაში ეს იყო შედეგი შავი ღალატისა. გენერალმა ხალილოვმა გასცა თავის ქვეყანა და ზურგში თავის ხალხს ლახვარი ჩასცა. ის მთავრობა, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა ბედ-იღბალი მთისა მოღალატე გამოდგა. და ჩვენ გვაქვს სრული რწმენა, რომ თავისუფლების მოტრფიალე მთა კიდევ შესძლებს შეკრიბოს თავისი ძალები და შესაფერი პასუხი გასცეს შავი რეაქციის მატარებელს გენერალ დენიკინს. (ტაში).

ეხლა დღეს უკვე დენიკინის შავი ლაშქარი ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვარს მიადგა.

თქვენ იცით მოქალაქენო, როგორია მდგომარეობა მეორე ფრონტზე, იმ ფრონტზე, სადაც ჩვენ პირის-პირს ვდგევართ დენიკინთან. ეს გახლავთ სოჭის ოლქი. იქ უკვე აშკარად სჩანს, რომ დენიკინის რაზმი მოქმედებას იწყობს და შესაძლებელია რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ გვექნეს საქმე უკვე მათთან შეტაკებასთან. (კედია: ვინ ავანგარდობს?).

იმავე დროს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას აქვს უტყუარი ცნობები, რომ მზადდება ჩვენს წინააღმდეგ კიდევ ახალი ფრონტი. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ბათუმში აპირებენ გენ.-გუბერ. რომანოვსკის დანიშვნა და მას განკარგულებაში ექნება მცირე რაზმი მოხალისეთა ჯარისა. ასეთია მოქალაქენო საერთო სურათი. თქვენ აქედან აშკარად დაინახავთ, რომ დენიკინი და რუსეთის რეაქცია ამიერ-კავკასიას და ჩვენ რესპუბლიკას რგოლივით გარს ერტყმის და მას დედამიწის ზურგიდან აღგვას უქადის.

მაგრამ, მე თამამად თქვენს წინაშე შემიძლია განვაცხადო, რომ არავითარ შიშს ჩვენ შორის ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სულმოკლეობას გამოიჩენს ის, მეტს ვიტყვი, მოღალატეთ უნდა მოინათლოს ის, ვინც ამ სამ პასუხისმგებლო მომენტის დროს მისცემს თავის თავს ნებას, რომ პანიკა, ან სხვა რამე ასეთი, ჩვენ შორის გაავრცელოს, რადგანაც საქმის მდგომარეობა, ძალთა განწყობილება არავის არ აძლევს უფლებას სთქვას, რომ თუ ეს შეტაკება მოხდა გამარჯვება ჩვენ არ დაგვრჩეს.

ჩვენ გვაქვს სრული იმედი ვთქვათ, რომ ამ შეტაკებიდან ქართველი ხალხი, ჩვენი დემოკრატია, ჩვენი რესპუბლიკა გამარჯვებული გამოვა (ტაში).

თქვენ, მოქალაქენო, ძალიან კარგად იცით რომ ჩვენ თავს არავის არ ვესხმოდით, ჩვენი პოლიტიკა, მისი შინაარსი განიზომებოდა იმით, რომ ჩვენი ხალხი, ჩვენი ოჯახი, ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ერი ყოველნაირ თავდასხმისაგან, ყოველნაირ ხიფათისაგან გადაგვერჩინა. მაგრამ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენ უფლების გადალახვას, ჩვენი ხალხის და ერის მოსპობას, უნდა იცოდეს მან, რომ ჩვენში შეხვდება სასტიკ წინააღმდეგობას.

ჩვენი ისტორიული ტრადიცია, ჩვენი დემოკრატიის განვლილი გზა გვაძლევს ჩვენ უფლებას თამამად ვთქვათ, რომ ხალილოვის შავ ღალატს და ხალილოვის მოქმედებას აქ ადგილი არ ექნება (ტაში).

ჩვენ გვინდოდა, რადგანაც როგორც მე მოგახსენეთ, ჩვენ რუსეთის საქმეებში არ ვერევოდით, ეს სადავო საკითხი, რომელიც ჩვენ, შორის იყო, მორიგებით დაგვეთავებინა. თქვენ იცით თუ რა ნიადაგზე ვაპირებდით ჩვენ მორიგებას: ჩვენ დავიკავეთ ისტორიული ჩვენი საზღვრები და წინ წასვლას არ ვაპირებდით, არავის თავს არ ვესხმოდით, მაგრამ, 29 მაისის დენიკინის წარმომადგენელთან მოლაპარაკებამ აშკარად დაგვიმტკიცა ჩვენ, თუ რა ასულდგმულებდა გენერალ დენიკინს, თუ რა აინტერესებდა და რისკენ იყო მიპყრობილი მისი თვალები. ჩვენ უკვე აშკარად დავრწმუნდით მაშინ, რომ აქ საქმე გვაქვს არა სოჭის ოლქზე, არა საზღვარის საკითხებზე, არამედ დენიკინი ფიქრობს მოსპოს მუშათა რევოლიუცია, მოსპოს (კედია: დამოუკიდებლობა!) საქართველოს რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატია. რომ მას აინტერესებს თვით საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ის ხმალს მხოლოდ მაშინ ჩააგებს, როდესაც ის თავის შავბნელ ძალებს შემოუსევს საქართველოს რესპუბლიკას.

აი კითხვა მოქალაქენო ასე სდგას.

თავის თავად ცხადია, რომ ამის შემდეგ მოლაპარაკებით საქმის დამთავრებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მე თავიდანვე მოგახსენეთ თქვენ, რომ ჩვენი მდგომარეობა, ძალთა განწყობილება გვაძლევს ჩვენ უფლებას ვთქვათ, რომ ჩვენ დამშვიდებით შეგვიძლია შევხვდეთ იმ ახალ დაბრკოლებას, რომელიც ჩვენ წინმსვლელობის გზაზე გადაგვეღობა.

რა მდგომარეობა არის ეს მდგომარეობა?

თქვენ გახსოვთ მოქალაქენო, რომ ერთი წლის უკან, როდესაც ჩვენი ქვეყანა განსაცდელის წინ იდგა, როდესაც მას შემოესია ოსმალეთის ბრბოები, ის მაშინ დამარცხებული დარჩა. მაგრამ დღეს ჩვენი მდგომარეობა შედარებით იმასთან თუ რა იყო ერთი წლის უკან, გაცილებით უკეთესია. ჩვენი დემოკრატია ბრძოლაში გამოიწრთვნა, გაკაჟდა და ის დღეს უკვე უძლეველ გმირს წარმოადგენს. ჩვენი ხალხი დღეს უკვე შეგნებით იცავს თავის სახელმწიფოს და თავის რესპუბლიკას. თუ შარშან ჩვენ სამოქალაქო ომი შიგ გვქონდა, დღეს უკვე ზურგი გამაგრებული გვაქვს. თუ შარშან ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით კულტურულ კაცობრიობას და საერთაშორისო დემოკრატიას, დღეს უკვე მათთან ძაფი გვაქვს. ის რაც დღეს აქ ხდება უკვე საქართველოს მთავრობამ აცნობა ჩვენ დელეგაციას პარიზში.

და ისმება საკითხი თუ საგარეო საქმეთა მინისტრი საფრანგეთის რესპუბლიკისა პიშონი უკანასკნელ თავის გამოსვლაში ამართლებდა თავის პოლიტიკას რუსეთის საკითხში, იმით, რომ დენიკინის არმია იბრძვის ბოლშევიზმის და ანარქიის წინააღმდეგ და ამით დიდ სამსახურს უწევს ცივილიზაციას და კულტუროსან ხალხებს, ჩვენ შეგვიძლიან დღეს შევეკითხოთ საგარეო საქმეთა მინისტრს პიშონს ვის ებრძვის ამ შემთხვევაში დენიკინი და კლემანსოს და ლოიდჯორჯის მიერ შეიარაღებული მისი არმია? თუ დეპუტატ ბორელს პიშონი უპასუხებს, რომ დენიკინის შეიარაღებით მოკავშირენი აიარაღებენ, იმ ძალას, რომელმაც უნდა დაამხოს ბოლშევიზმი,—ჩვენ არ ვიცით რა პასუხს გასცემს ბორელს პიშონი როდესაც საზოგადოების აზრი გაეცნობა იმ დოკუმენტს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკამ იქ წარგზავნა, როდესაც იქ გაიგებენ, რომ დღეს ლახვარი დენიკინისა მიმართული არის არა ანარქიის წინააღმდეგ, არა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, არამედ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წინააღმდეგ და საქართველოს ერის წინააღმდეგ.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მთელი დემოკრატია საერთაშორისო, მთელი მოწინავე საზოგადოებრივი აზრი ევროპისა ჩვენ მხარზე იქნება და ის მხარს დაუჭერს საქართველოს რესპუბლიკას და ამიერ-კავკასიის ერებს, და აი ის ძალა, რომელსაც ჩვენ სხვათა შორის შეგვიძლიან დავეყრდნოთ.

მაგრამ, უმთავრესი ძალა, მოქალაქენო, თავის თავად ცხადია, ჩვენ თვით ჩვენში უნდა ვეძიოთ. ჩვენ სრულიად ეჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ ჩვენი ხალხი როგორც ერთი კაცი ისე იბრძოლებს საქართველოს რესპუბლიკის მტრის წინააღმდეგ. ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ საქართველოს გლეხთა და მუშათა კლასი სასტიკად შეებრძოლება დენიკინს, ვინაიდან დენიკინს მოაქვს აქ ჩვენში შავი რეაქცია, სოციალური და პოლიტიკური რეაქცია, ვინაიდან დენიკინის შემოსვლა უქადის ჩვენ ქვეყანას აოხრებას, და მოსპობას ბრძოლით მონაპოვარ თავისუფლებას. მაგრამ, იმავე დროს, ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქართველი ხალხი ამ შებრძოლებაში განმარტოებული არ სდგას. ჩვენ უკვე გვაქვს უტყუარი საბუთი იმისა, რომ ადერბეიჯანის რესპუბლიკა ჩვენთან ერთად არის (ტაში) (ესალმებიან ადერბეიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელს ჯაფაროვს). ჩვენი ცნობებით უკვე წარგზავნა თავის საზღვარზე ჯარები, რომელნიც ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრებს მედგრად დაიცავენ (ტაში.)

ასე რომ, მოქალაქენო, მე უნდა ვსთქვა, რომ საშიშროება დენიკინში და მის ლაშქარში არ არის. თქვენ ყველანი კარგათ უწყით თუ რას წარმოადგენს ეს ლაშქარი, ის ბრბოები, რომელთაც არავითარი საერთო ლოზუნგი, არავითარი საერთო წმინდა საქმე არ აერთიანებს, არ ასულდგმულებს. თქვენ იცით, რომ ეს ბრბოები გარბის პირველ შემთხვევისათანავე თუ ის სასტიკ წინააღმდეგობას ხედავს თავის მსვლელობაში.

საშიშროება მოქალაქენო თვით ჩვენშია. თუ ისტორია გამეორდა, ჩვენდა საუბედუროდ, თუ კიდევ ექმნა ამიერკავკასიის ისტორიაში ადგილი იმ ფაქტს, რომელსაც, სამწუხაროდ, ჰქონდა ადგილი ერთი წლის თუ კიდევ ჩვენ შორის დაიწყო ლაპარაკი ნეიტრალობაზე და იმაზე, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვებრძვით საერთო მტერს,—აი, მა-

მოქალაქენო, აქ არის ხიფათი, აქ არის სასიშროება (მაჭავარიანი: ღალატია!)

მაგრამ, ჩვენ გვწამს, მოქალაქენო, რომ მწარე გამოცდილება, რომელიც მოგვცა მარტანდელმა ისტორიამ, ჭკუას ასწავლის ყველას და თუ სიდიადე დღევანდელი მომენტისა ვერ შეიგნო პასუხისმგებელმა ჯგუფმა ზოგიერთ ამიერკავკასიის ხალხისა,—დეე ისტორიის წინაშე მათ აგონ პასუხი, დეე ყველამ დაინახოს ვინ მოუწოდებს ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარულ ბრძოლისაკენ და საერთო საქმის გაკეთებისაკენ.

ჩვენ მოქალაქენო, ჯერ კიდევ არ გვაქვს იმის საბუთები, რომ თქვენს წინაშე განვაცხადოთ, რომ ეს ერთიანობა ჩვენს შორის არ არის. ჩვენ მხოლოდ სამწუხაროდ დღევანდელ დროისთვის ეჭვს გამოვთქვამთ და იმედი გვაქვს, რომ ეს ეჭვი არ გამართლდება.

მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა განვაცხადოთ აქ, თქვენ წინაშე, რომ თუ ამ ბრძოლაში საქართველო და ადერბეიჯანი მარტოდ დარჩნენ,—მაინც გამარჯვება ჩვენსკენ არის! (ტაში).

რადგანაც ჩვენ ვიცავთ წმინდა საქმეს, რადგანაც ჩვენ ვემსახურებით დიად მიზანს, ჩვენ ვიცავთ თავისუფლებას პატარა ერებისას. თუ ყველა ჩვენგანი გაიმსჭვალება ამ აზრით, თუ ყველა ჩვენგანი შესძლებს თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიადი საქმის სამსახურში, ჩვენ ვართ დარწმუნებული, რომ გამარჯვება ამ უკანასკნელ შებრძოლებაში ჩვენ კარებზე იქნება. ამნაირად, მოქალაქენო, მე მინდა ჩემი მოკლე განცხადება დავამთავრო შემდეგით: თქვენ ხედავთ, რომ მომენტი მართლადაც ძრიელ საპასუხისმგებლოა, თქვენ ხედავთ, რომ რუსეთის რეაქცია სცდილობს ლახვარი ჩასცეს ამიერ-კავკასიას და კერძოთ საქართველოს.

თქვენ ხედავთ, რომ ამ შემთხვევაში განსაცდელი, რომელიც დღეს ჩვენს წინაშე სდგას თითქმის ბევრად უარესია იმ განსაცდელისა, რომელიც ჩვენ ერთი წლის უკან გამოვიარეთ.

თქვენ იცით რომ დენიკინის აქ შემოსვლა ეს იქნებოდა მთელი ჩვენი ერის ფიზიკურად განადგურება (ხმა: მართალია!). თქვენ იცით, რომ დენიკინი აქ შემოდის არა როგორც დამპყრობელი ძალა, არამედ როგორც შურის მძიებელი და ის სასტიკ შურს იძიებს. მაგრამ, თუ კი ჩვენი ხალხი რაშიაც ჩვენ ეჭვი არ გვაქვს, სხვა ერებთან ერთად შემოკრებს თავის ძალას თავის ნაცადი დროშის ირგვლივ,-ჩვენ თამამად შევვიძლია ვთქვათ, რომ დენიკინი და მისი ლაშქარი ამიერკავკასიის საზღვრებს ვერ იხილავს და საქართველოს რესპუბლიკა მაღლა აათრიალებს თავისუფლების და თავის სახელმწიფოებრივ დროშას (ხანგრძლივი ტაში).

სამხედრო მინისტრი რამიშვილი აღნიშნავს, რომ დღეს, როდესაც ჩვენ სამშობლოს უახლოვდება შავი ღრუბლები შავი ჩრდილოეთიდან ჩვენ სრული იმედით შევყურებთ მომავალს. მინისტრი უპირველეს ყოვლისა თავის იმედებს ამყარებს საქართველოს ხაზზე, მას სწამს, რომ ის ხალხი, რომელსაც თვისი დროშა არ დაუხრია თვით შავბნელ რეაქციის დროსაც არც ეხლა შედრკება დენიკინის წინაალმდეგ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არავის არ ემუქრებოდა და იგი მედგრად დახვდება მომხდომს. ამ ბრძოლაში ჩვენთან იქნება ადერბეიჯანი, რომლის საზღვრებისაკენაც მოისწრაფვის დენიკინი. ჩვენი სახელოვანი ჯარის და სახელოვანი გვარდიის არა ერთი ბრწყინვალე გამარჯვება თავდებია იმისა, რომ თუ ეს ბრძოლა მოგვიხდა ჩვენ ამ ბრძოლიდანაც გამარჯვებული გამოვალთ.

შალვა მესხიშვილი (ს.ფ.) ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ყველა მათი თანამგრძნობნი დღეს საქართველოს მთავრობასთან იქნებიან, რადგან დენიკინის შემოსვლა ეს იქნება საქართველოს მცხოვრებთა ფიზიკური განადგურება. მთელი საქართველო ფეხზე დამდგარი გაუმკლავდება შემოსულ დენიკინის შავ რაზმებს ოღონდ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ თვით აქ საქართველოში მრავლად არიან დენიკინის აგენტები, რომელთა წინაალმდეგ ჩვენ გვმართებს სასტიკი ბრძოლა.

შინაგან საქმეთა დეპარტამენტის უფროსი ქიქინაძე უპასუხებს მესხიშვილს და აღნიშნავს, რომ მთავრობა ყოველ ჩვენ შინაურ მტრების წინაალმდეგ ღებულობს სათანადო ზომებს, მხოლოდ ჩვენ დღეს არ უნდა ვემსგავსოთ იმ შეშინებულ ადამიანს, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ ეძიებს თვის მტრებს. მთავრობამ უკვე დახურა ის გაზეთები, სადაც მოთავსებული იყო ისეთი ცნობები, რომელთა მიზანი იყო პანიკის შექმნა.

ივანე გობეჩია (ს. რ.) ფრაქციის სახელით აღუთქვამს მთავრობას გვერდით ამოდგომას. ორატორი აღნიშნავს, რომ საქართველო კირჩევს სახელოვანს სიკვდილს და არ გახდება მსურველი ნაძრახ სიკვდილისა.

რუსეთის დიდ რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას ქართველი ხალხი არავის რა დაუთმობს და მით უფრო შავ რეაქციის მოტრფიალე დენიკინს ამიერ-კავკასიის მთლიანი ფრონტი, აი რა უნდა დაისვას დღიურ საკითხათ.

რ. არსენიძე. (ს. დ.) აღნიშნავს, რომ ბაქოს წინაალმდეგ მთელი საქართველო ფეხზე დადგება ღირსეულ მთავრობის დროშის ქვეშ. თეთრი გიორგი დღესაც ჩვენი მფარველია. ჩვენთან იქნება დღეს ადერბეიჯანი, ჩვენთან იქნება ბაქოს პროლეტარიატი. და დღეს სომხეთმა უნდა განაცხადოს არის თუ არა მართლა მის ტერიტორიაზე მოხალისეთა ჯარი, როგორც ამას აცხადებს თვით დენიკინი. ჩვენი სახელოვანი ჯარი და ღირსეული გვარდია ადერბეიჯანთან ერთად სასტიკ წინაალმდეგობას გაუწევს დენიკინის მოხალისეთ, რომლებიც ლამობენ ჩვენსა და ადერბეიჯანის თავისუფლების მოსპობას.

სპ. კედია (ე. დ.) აღნიშნავს, რომ საქართველოს ბრწყინვალება და სიძლიერე არასოდეს ასეთის სიმტკიცით არ ჩამოშვებულა ამ დარბაზში, როგორც დღეს ამიტომ ეს დღე საქართველოს ცხოვრებაში ისტორიულია. „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებია“ და ეს ვარდი არის ჩვენი საქართველო. ამ ვარდს ქართველი ერი არვის მოატაცინებს. ორატორი იმედს გამოსთქვამს, რომ ლოიდჯორჯის მაღალი შუბლი არ ურევია იმ საქმეში, რომელსაც სჩადიან ინგლისელები. ეს საქმე ადგილობრივ სარდლების მიერ არის შეთხზული.

ვალ. ჯუღელი (ს. დ.) აღნიშნავს, რომ ქართველ ხალხს არასოდეს იმედი არ დაუკარგავს და ეხლაც ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ ბრძოლიდან გამარჯვებულნი გამოვალთ. მხოლოდ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ფრონტი. ჩვენმა საზოგადოებამ ფრონტს სათანადოთ უნდა გაუმაგროს ზურგი. თავადაზნაურობამ საუკეთესო მებრძოლნი მისცა დღევანდელ საქართველოს, ხოლო ოფიციალური ბურჟუაზია დღეს საქართველოს არ ეხმარება. ყველა უნდა დაეხმაროს საქართველოს რითიც კი შეუძლიან. მუშათა დეპუტატთა საბჭომ წუხელ უკვე გადასდო 1 მილიონი მანეთი. იმედია არავინ დაზოგავს თავის წვლილს და ჩვენი ღირსეული გვარდია და ჯარი სახელს არ შეირცხვენს. საქართველო კვლავ გამოვა გამარჯვებული.

ს. დემოკ. ფორმულა.

გ. ფაღავა (კითხულობს): მოისმინა რა მთავრობის მოხსენება მოხალისეთა ჯარების შემოსევის შესახებ, დამფუძნებელი კრება საქვეყნოდ აცხადებს, რომ ეს თავდასხმა გამოწვეულია ძველი რუსეთის მოტრფიალეთა იმპერიალისტური ზრახვებით, წვრილი ერების დამონებისა და განადგურების სურვილით; დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია ღირსეულად შეხვდება მტერს და მთელი თავისი ძალ ღონით დაიცავს საქართველოს რესპუბლიკის ღირსებას და ხელ შეუხებლობას. დამფუძნებელი კრება მოუწოდებს მთელს ერს, მის დემოკრატიას შემოკრბეს მთავრობის გარშემო, ზურგი გაუმაგროს ლაშქარს, როგორც მეომართა მიცემით, ისე ქონებრივი მსხვერპლის მაგიერათ და მორალურ დახმარებით. დამფუძნებელი კრება ღრმად დარწმუნებულია, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკები და მათი დემოკრატია ამ საერთო სურათის წინაშე ერთად დადგებიან და მას საერთო ძალით ეკვეთებიან. დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს რწმენას, რომ ევროპის სახელმწიფოები და პირველად ყოვლისა მშრომელი დემოკრატია ხმას აღიმაღლებს ჩვენი ერისა და დემოკრატიის დასაცავად; დამფუძნებელი კრება მიმართავს პარიზის საზავო კონფერენციას და ევროპის ყველა პარლამენტებს პროტესტით დენიკინის შემოსევის და მისი შეიარაღების წინაალმდეგ წვრილ ეროვნებათა დასათრგუნათ.

რეზოლიუცია დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო.

დენიკინის წინააღმდეგ ჩეჩნების აჯანყება.

აზერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელის საქართველოში ცნობით მოხალისეთა ჯარს საჩეჩნეთი აჯანყებია. აჯანყებულებს ხასან იურტის მთელი გარნიზონი ამოუჟლეტიათ. პეტროვსკიდან გაგზავნეს ერთი ეშელონი 4 ზარბაზნით.

მუშათა დეპუტატების საბჭოს

რეზოლუცია მომენტის შესახებ.

ქალაქ ტფილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ მოისმინა რა მაისის 31 თავის სხდომაზე ცნობა ჩვენი ფრონტის მდგომარეობის და ამიერ-კავკასიის, საქართველოს წინააღმდეგ მუქარის შესახებ, როგორც აღმოსავლეთიდან ისე დასავლეთიდან და დაადგინა: დენიკინის გამოლაშქრება ეს შავი რეაქციის გამოლაშქრებაა თავისუფლებისა და რევოლუციის ყველა მონაპოვართა. ამ წმინდა ბრძოლაში თავისუფლებისა და რევოლუციისათვის საბჭო მოუწოდებს მთელ ხალხს, მთელ დემოკრატიის ყველა რევოლუციონურ ელემენტს განურჩევლათ ფრაქციებისა და ეროვნებისა, შემოკრბეს ქვეყნის დამცველ რესპუბლიკის მთავრობის გარშემო, რომ საერთო ძალღონით საერთო მტერი შემუსროს.

ამასთან ერთათ საბჭო მოუწოდებს აზერბეიჯანის და სომხეთის დემოკრატიას საქართველოს შეუერთდეს ამ ბრძოლაში და გააერთიანონ იგი ერთ მთლიან რევოლიუციონურ ფრონტად და თუ ეს მთავრობანი გამოააშკარავებენ ისეთ ნაბიჯს როგორიც გადასდგა მთიელთა მთავრობამ, საბჭო მოუწოდებს ამ რესპუბლიკათა დემოკრატიას თვით აიღოს თავის ხელში ძალა—უფლება და მოაწყოს ამიერ კავკასიის თავდაცვა.

ყველაფერი რევოლიუციონური ფრონტისათვის—დენიკინელთა ჯარის რეაქციონური ფრონტის წინაალმდეგ.

რეზოლიუცია მიღებულია ერთხმათ.

დამფუძნებელი კრება

სხდომა 23. 1919 წელს. სამშაბათს, ივნისის 3, დილის 11 საათზე.

დღიური წესრიგი:

1. მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონპროექტისა სახალხო სკოლის მასწავლებელთავის ხუთ წლეულ დაბატებათა დაწესების შესახებ.

მომხსენებელნი: ი. ჭავჭანიძე და ქრ. მამრაძის ასული.

2. დეკრეტი — ახალციხე-ახალქალაქ-არტაანის და სოხუმ ახალსენაკის გზატკეცილების შესაკეთებლად 800,000 მან. გადადების შესახებ.

მომხსენებელია ივ. ჭავჭანიძე.

მილიციაში.

ბ. ვ. სულაქველიძის ბრძანებანი.

კვლავ წინადადებას ვაძლევ ერთხელ და უკანასკნელათ მილიციელებს, რომ ისინი შესაფერ ტანთსამოსში იყვნენ გამოწყობილნი ფორმაში. თუჯის ნიშნების ტარება როგორც უმფროს, ისე უნცროს მილიციონერების მიერ აუცილებელია. ამის შემდეგ ამ ბრძანების დამრღვნევნი ფიცხლავ დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდან. დაისჯებიან უთვალყურეობაში აგრეთვე უფროსი მილიციონერებიც, ამნაირათვე მოვეპყრობი იმ მილიციონერებს, რომელთაც თან არ ექნებათ ვინაობის მოწმობანი.

—

ისეთ ცენტრალურ ქალაქის ნაწილში, როგორც მეორე საკომისარიატოა, შევნიშნე მთვრალი კამპანია, რომელიც თავისუფლათ მიდი-მოდიოდა ქუჩებზე სიმღერით და ღრიანცელით. ამნაირ სამახინჯო, ქუჩის წესის დარღვევას მე მთლიანათ ვაბრალებ მილიციელთა უმოქმედობას. წინადადებას ვიძლევი და ვაფრთხილებ უნცროს მილიციონერიდან დაწყებული ვიდრე თვით კომისარამდე, რომ შემდეგში სასტიკ პასუხის გებაში მივცემ მათ.

—

წინადადებას ვაძლევ კომისრებს გააფრთხილონ თვის ხელქვეითი მილიციონერები, რომ თვალყური ადევნონ ელექტრონის ლამფებს, რომელითაც ქუჩები ნათდება. ყველა იმ პირთ, ვინც მათ შეკეთების სახით ადის ბოძებზე და კედლებზე მოსთხოვონ მოწმობანი „ამპერის“ ამხანაგობიდან მიცემული.

—

სიცხეების დადგომის შემდეგ თუ არ იქნება მიღებული ზომები ქალაქის სანიტარულ საქმის ღირსეულ ხარისხზე დასაყენებლათ ეპიდემიური ავათმყოფობანი მრისხანე სახეს მიიღებს, ამიტომ ქალაქს დიდი მზრუნველობა სჭირია. ამ ხიფათის თავიდან ასაცილებლათ მე წინადადებას ვაძლევ მილიციას ენერგიული ზომები მიიღოს ქალაქის ანტისანიტარულ მდგომარეობის წინაალმდეგ. ამიტომ საჭიროა ფხიზელი თვალ ყურის გდება, რომ ქალაქის გენერალურ გასუფთავების შემდეგ, ქალაქის ქუჩები და მოედნები 24 საათის განმავლობაში დაცული იქნას სუფთათ. ამ საქმეში დამხმარეთ უნდა მიწვეულ იქნენ არა თუ მარტო მეეზოვები, არამედ სახლის პატრონები და მოიჯარადრენი. არ მოერიდოთ და ხშირათ შემოუარეთ მათ და დაათვალიერეთ ეზოები და ქუჩები—მორწყონ დაგვის დროს წყლით. საჭიროა ყურადღება მიექცეს სასტუმრო რესტორან-სასადილოებსა და მათ სამზარეულოებს, რომ ჭურჭელი და ტილოები სუფთათ ჰქონდეთ. სადაც საჭმელ სანოვაგეს ჰყიდიან უნდა გადააფარონ რაიმე, [illegible] არ მოერიდოთ სასტიკ მოთხოვნილებას, ვინაიდან მეც ჩემი მხრივ სასტიკ პასუხის გებაში მივცემ დამნაშავეთ.

—

მე შევნიშნე რომ ბევრი დათხოვნილი მილიციონერი ან თვის ნებით წასული ისევ ატარებს ფორმას. მე ამას კომისრების დაუდევრობას ვაწერ. ვავალებ კომისრებს: ყველა ამ პირთ ფიცხლავ ჩამოერთვას იარაღი, მიწერ-მოწერა და ვინაობის მოწმობანი. აგრეთვე ხელწერილი, რომ ისინი სასტიკ პასუხს აგებენ თუ კვლავ ატარებენ ფორმას.

—

კვლავ წინადადებას ვაძლევ ქალაქში მოდარაჯე მილიციონერებს ყოველ ცოტათი თუ ბევრათ საყურადღებო ამბებზე ქალაქში მომხდარზე დაუყოვნებლივ მაცნობონ მე და ქალაქის მოურავს ტელეფონით.

—

მივაქცევ კომისრების ყურადღებას—ქალაქის სუსტათ განათების შესახებ. საჭიროა წინადადება მიეცეთ ყველა სახლის პატრონს უსათუოთ იქონიონ სახლის ფარნები და გაანათონ იგი ნავთით ან ელექტრონით.

—

დათხოვნილ არიან სამსახურიდან მე-9-ე კომისარიატის უფროსი მილიციონერები პლატონ ღლონტი და ანდრია კუხნოსენკოვი, უნცროსი მილიციონერები ამავე უბნისა მიხეილ ყოჩიაშვილი და სამართალში გაძლევ ყველას.

ერობა

ტფილისის სამაზრო ერობაში.

ბ ნ ლ. ახათიანის მოხსენება ადმინისტრაციისა და მილიციის შესახებ.

(დასასრული).

სოფლებში ადგილობრივ არ არის საჭირო კომისრები ხუთ-ხუთ მილიციონერებით, რომელთაც დავალებული ჰქონდათ სისხლის სამართლის საქმეები, რადგან მას ისინი ვერ აწარმოებენ და ამ საქმის გაძღოლა განსაკუთრებით უნდა დაევალოს რაიონის მილიციას, რომელშიც უნდა გადავიდეს სიმძიმის ცენტრი. სოფლის კომისრების მაგივრათ უნდა იყოს ამორჩეულნი „პატიოსანი კაცი“, „მზრუნველი“, ან სოფლის „რწმუნებული“, ერთი მხრივ იქნება სოფლის ოფიციალური პირი, რომელსაც უნდა მიმართონ, როცა სოფელთან ვინმეს რამე საქმე ექნებათ და მეორე მხრივ გაუძღვება წვრილ საქმეს, როგორც მაგალითად მორიგება, ცეცხლის ჩასაქრობათ რაზმის გამოყვანა და სხვ. ამ პირების კომპეტენციას გამოარკვევს წვრილი საერობო ერთეული. სოფლის რწმუნებულებს ეყოლებათ ერთი გზირი დასაგზავნ-გამოსაგზავნათ. რწმუნებულები იქნებიან სოფლის საზოგადოებაში თითო, ან 2-3, როგორც წვრილი ერობის მართველობა დაინახავს. რწმუნებულები და გზირები წვრილმა ერობებმა თავის ხარჯით უნდა შეინახოს.

შტატები უნდა შესდგეს თანახმად წამოყენებულ ორგანიზაციისა. შტატებში უნდა შეტანილ იქნეს ყველა ხარჯები, რომელნიც საჭიროა მილიციის ხარჯებისთვის და რომელიც სხვათა შორის დღემდე არ ყოფილა აღნიშნული, როგორც მაგალითად სადარაჯოების (პოსტების) გათბობა-განათება, დახმარება უბედურ შემთხვევის დროს და სხვ. ჯამაგირები ძალიან მნიშვნელოვანათ უნდა გადიდდეს. ადმინისტრაციის და მილიციის ჯამაგირები ახლანდელ სიძვირის ხანაში არა თუ არ აკმაყოფილებენ მათ საარსებო მოთხოვნილებებს, არამედ მარტო ცხენის შესანახავადაც კი არ არის საკმარისი. ამით შექმნილია ის განსაკუთრებული და დაუშვებელი მდგომარეობა, რომ მილიციონერები არამც თუ არაფერ ჯილდოს არ იღებენ ხაზინიდან თავის შრომისათვის, არამედ კიდევაც აძლევენ თავის ჯიბიდან. მომხსენებლის აზრით ჯამაგირის შეუფერებელი სიმცირე აუცილებლათ იწვევს მექრთამეობას და სხვა ბოროტ მოქმედებას. ამიტომ—ამბობს მომხსენებელი—დაუყონებლივ უნდა მიემატოს მილიციას და ადმინისტრაციას ჯამაგირები. ერობისგან შემუშავებული შტატები ცენტრალურ ბიუროს მეოხებით სასწრაფოთ უნდა წარდგენილ იქნეს მთავრობაში და პარლამენტში. შტატები უნდა დაწესდეს ამ წლის 1 აპრილიდან.

IV. საზოგადოთ, რაც შეეხება მილიციის შენახვას, ერობამ უნდა გაიღოს თავის წვლილი მის შესანახავათ, ურომლისოდაც ერობა ვერ იქნება ნამდვილი მისი პატრონი, მაგრამ ამ წელს სასურველია ეს ხარჯები აიღოს თავის თავზე მთავრობამ, რადგან ჯერ ერობის ფინანსები მოწესრიგებული არ არის, მაგრამ ერობამ უნდა აიღოს თავის თავზე ზოგიერთი მცირე დამატებები ამ ხარჯებზე, რომელიმე

მაზრით სპეციფიური პირობებით გამოწვეული.

V. მილიციის და ადმინისტრაციის მოქმედების წესიერ კალაპოტში ჩასაყენებლათ საჭიროა:

1) მილიციას და ადმინისტრაციას უნდა დაევალოს მარტო ის საქმეები, რომელიც მაზე მინდობილი აქვს კანონს (დროებით მთავრობის კანონი 17 აპრ. მუხლი 18, 19, 20, 21, 22 და 23 ე. ი. უმთავრესად სისხლის სამართლის საქმეები). ამიტომ მაზრის ადმინისტრაციას უნდა ჩამოშორდეს ის საქმეები, რომელნიც უნდა განაგონ თვით ერობამ, ფოსტამ და სასამართლომ.

2) უნდა მიეცეს მილიციას და აგრეთვე ადმინისტრაციას გარკვეული წესები, თუ როგორ უნდა აასრულოს მან ზემო ნაჩვენები საქმეები, რომ ადგილი არ ჰქონდეს თვითნებობას. ასეთი წესები მეტადრე საჭიროა რეკვიზიციისათვის, ბეგრისათვის და ფულის ასაკრეფად.

3) უნდა შეასწავლონ მილიციას მისი საქმე: იარაღის ხმარება, გამოძიების მოხდენა და სხვა, რისთვისაც:

ა) გამოცემული უნდა იყოს მდაბიო ენით დაწერილი სახელმძღვანელო წიგნაკი.

ბ) დაევალოს მილიციის უფროსს სისტემატიური სწავლება მილიციონერებისა.

გ) შემოღებულ იყოს გამოცდები.

დ) მოწყობილი იყოს მილიციის უფროსების კრილობები.

4) უნდა დაწესდეს ერობის გამგეობის მხრივ მუდმივი და სისტემატიური რევიზია მილიციის მოქმედებისა. ამისთვის სხვათაშორის საჭიროა გამოანგარიშება იმის, თუ რამდენი ბოროტ-მოქმედება მოხდა მაზრაში, რა ხასიათისაა, რამდენი ამათგანია გამორკვეული, რამდენი დამნაშავეა დასჯილი და სხვა. ამისთანა ცნობები შეძლებას გვაძლევენ დასკვნისათვის თუ რამდენათ პირნათლათ ასრულებს მილიცია თავის მოვალეობას.

დრო გამოშვებით სერიოზულ შემთხვევებში საჭიროა სარევიზიო კომისიის დაარსება ხმოსნების მონაწილეობით.

5) ყოველივე მილიცია-ადმინისტრაციაზე შემოსული საჩივარი უნდა გამოირკვეს და ბოლომდე იქნეს მიყვანილი. აღმოჩენილი ბოროტ-მოქმედებანი სასამართლოს გადაეცეს და შემდეგ გამოქვეყნდეს საყოველთაოდ.

სხვა და სხვა.

ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია ტფილისის თვითმმართველობის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომა.

◆ ართვინში ადგილობრივმა სომხეთის ეროვნულმა საბჭომ გახსნა თავშესაფარი დააბლოვებით 300 ობოლთათვის. თავშესაფარს ხარჯ ბისათვის სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოში გადასდო 15.000 მანეთი.

◆ დღეს ტფილისიდან ნახიჩევანს წავა ლტოლვილთა მორიგი მატარებელი დაახლოვებით 35 ვაგონი.

◆ მესტამბე დავით პიტნავამ გამოსცა შემდეგი ახალი წიგნები: 1) „ბატონ-ყმობის გადავარდნის საიზადისის ამბები, დიმიტრი ყიფიანი, კოსტ. მამაცაშვილი და დიდი რევაზ ვაჩნაძე, ზ. ჭ-ჭინაძისა, ფასი 7 მან, გადაბეჭდილი გაზ. „სინათლიდან“ 7, ტფილისის ამბოხება, ანუ დიდი ბუნტი 1865 წ. ტფილისში, პოეტი გრიგოლ ორბელიანი დანი კ. ჭავჭავაძე, ზ. ჭიჭინაძისა, ფასი 4 მან. გადაბეჭდილია გაზ. „დროებიდან“.*

განცხადებანი

თადეოზ ლევანის ძე მეტრეველი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელარიიდან და სამხ დრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან, მოწმობები გაუქმებულათ ითვლება. 709 3—1.

სოფიო სტეფანეს ასული ლარიკაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს 710 3—1

ბორჩალოს მაზრის კომისარი ამით აცხადებს, რომ სოფ. ბოლნის კაპანაკჩის მცხოვრებმა მოლა ისა ზარგარ ოღლიმ დაკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ბორჩალოს მაზრის ყოფილ კომისრიდან 1905 წ. მპოვნელი ვალდებულია წარმოადგინოს იგი კომისარიატში. 953 3—3

მეიერ ზალისმანის ძე შუმტერი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო ბანკის 4% რენტა, № 3870—500 მ. და საადგილ მამულო ბანკის $3^1/_2$% გირავნობის ფურცელი № 53871—300 მან. 708 3-2

ბორის მიხეილის ძე ზაპოლსკი აცხადებს, რომ დაკარგა პასპორტი № 1096, აღებული 1915 წელს მაისის 12 კავკასიის მე-15 მსროლელთა პოლკის უფროსისაგან პასპორტი დღიდან განცხადებისა გაუქმებულათ ითვლება. 697 3—2

ლანჩხუთის რაიონის კოოპერატივთა კავშირი „ვარსკვლავი“ აცხადებს, რომ ლანჩხუთის რკინის გზის კოოპერატივის გატეხის დროს დაიკარგა ქართული ლატარიის ბილეთები 5 ცალი: სერია 159 №№ ბილეთებისა 16, 35, 40, 49 და 94. მნახველს ამ ბილეთებისას ვსთხოვთ დაუბრუნოს გამგეობას როგორც ამ ბილეთების მესაკუთრეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ბილეთები მომგებიანი გამოდგა ზემო ნაჩვენებ ნომრის ბილეთებს უფლება ეკარგება მოგების მიღებისა. **გამგეობა.** 701 3—2

ევდოკია მიხეილის ასული ტიაგუნოვა (ხუჩუა) აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ჯვრისწერის ქაღალდი № 607, მიღებული ტფილ. სინოდალურ კანტორიდან. დაკარგული ჯვრისწერის ქაღალდი დღიდან განცხადებისა გაუქმებულათ ითვლება. 704 3—2

ბარბარე გრიგოლის ასული მანიევა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, მიღებული 1882 წ. ივლისის 29 № 367, ანა-ხანუმა მარტიროსის ასულ ხიზანოვის სახელზე, რომლითაც მან იყიდა სახლი ნიკოლოზის ქ., № 26. სიგელი გაუქმებულათ ითვლება. 705 3—2

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბერძენიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ქალაქის მილიციის უფროსისგან. მპოვნელს თხოვს მიუტანოს მე-XI კომისარიატში 684 3—3

გრიგორ იოსების ძე ხაჩატუროვი აცხადებს, რომ მან დაკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 690—3 3

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობა აცხადებს, რომ ქ. ზესტაფონში მცხოვრებს მოქ. ბარბარე მიხეილის ასულს მეტრეველისას დაეკარგა ატესტატი მიღებული ქუთაისის ქალთა წმიდა ნინოს გიმნაზიიდან ივნისის 14 1907 წ. № 232 და კავკასიის სამასწავლებლო ოლქიდან მიღებული მასწავლებლის წოდების საბუთი. გამგეობა სთხოვს მპოვნელს ხსენებული საბუთები გამოგზავნოს ამავე გამგეობაში. 952 3—3

დავკარგე მაისის 26, ტფილისში საფულე, რომელშიაც იყო 5270 მ., მოწმ. რევოლვერის ტარებისა მოცემული ტფილისის მილიციის უფროსისაგან და სხვა და სხვა საბუთები. მპოვნელს ვსთხოვ საბუთები, რომელიც მისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს გამოგზავნოს ფოსტით ვერის დ. ღმართი შეშის საწყობი ძმათა დოლიძეებისა, კალისტრატე დიანოსის ძე დოლიძეს. 693 3—3

ზედევან გრიგოლის ძე ელბაქიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცეიმეისტერის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულად ითვლება. 694 3—3

კონსტანტინე მიხეილის ძე ეგეტაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიაც იყო ფულებთან ერთად სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიცემული ტფილისის სამხედრო უფროსისაგან. მოწმობა გაუქმებულად ითვლება. 695 3—3

დაკარგულია ნებართვა, მიღებული ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროდან ამა წლის მაისის ორს, № 3085 ბაქოში პაპიროსისა და თამბაქოს გასატანი ივანე ტალაკინის სახელზე და აგრეთვე პირადობის მოწმობა მისივე სახელზე. დოკუმენტები გაუქმებულად ითვლება. 692 3—3

კავკასიის ბანკის გამგეობა იუწყება, რომ მის მიერ მიცემული მარიამ ასლანის ასულ კარაჯევაზე ბილეთი № 75031, 40,000 მან დაკარგულია. თუ უკანასკნელ განცხადებიდან ერთი წლის ვადაში აღნიშნული ბილეთი არავინ წარმოადგინა, ის გაუქმებულად ჩაითვლება. 3—3

ალექსანდრე ლუკას ძე ქორქაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 688—3-3

გიორგი ალექსის ძე ჩხეიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა იარაღის ტარების მოწმობები, მიღებული ჰქონდა ტფ. მილიციის უფროსისგან. თოფის № 5662 და რევოლ. № 113375. მოწმობა გაუქმებულად ითვლება. 700 3—3

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკმა

1918 წელს მაისის 24, მოახდინა მე-88 ტირაჟი აღნიშნულ ბანკის გირავნობის ფურცლებისა.

ამ ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლების გადასახადი უნდა შეტანილ იქნეს 1919 წელს ივლისის პირველს, სახელმწიფო ბანკში და განყოფილებებში, ტფილისში—ბანკის კასაში, პეტროგრადში—პეტროგრადის გამსესხებელ-გამნაღდებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და მის განყოფილებებში, პეტროგრადის კერძო კომერციულ ბანკში, პეტროგრადის საერთაშორისო კომერციულ ბანკში და მის განყოფილებებში, მოსკოვის სამრეწველო ბანკში, საურთიერთო ნდობის საზოგადოების ცენტრალურ ბანკში და ყველა მის კორესპონდენტებთან, პეტროგრადის სავაჭრო ბანკში და მის განყოფილებებში, აზოვო-დონის კომერციულ ბანკში და მის განყოფილებებში, ვოლგა-კამის კომერციულ ბანკში და მის განყოფილებებში, რუსულ ფრანგულ კომერციულ ბანკში, ვარშავის კომერციულ ბანკში, რიგის კომერციულ ბანკში და მის განყოფილებებში, მოსკოვში: მოსკოვის ვაჭართა ბანკში, მოსკოვის გამსესხებელ ბანკში, შეერთებულ ბანკში და მის განყოფილებებში, „ძმ. ჯამგაროვების“ საბანკო სახლში და პეტროგადის განყოფილებაში.

ამ ტირაჟში გამოცემულ გირავნობის ფურცელს თან უნდა ახლდეს ყველა კუპონები, რომელთა ვადა გადის 1919 წელს ივლისის პირველის შემდეგ; წინააღმდეგ შემთხვევაში, დარჩენილ კუპონების თანხა გამოაკლდება იმ გადასახდელ თანხას.

მე 88 ტირაჟში გამოსულ $4^1/_2$% გირავნობის ფურცლების ნომრები:

№ № 36, 53, 140, 214, 236, 239, 240, 254, 280, 466, 467, 472, 533, 545, 559, 685, 689, 702, 703, 707, 941, 942, 987, 1177, 1267, 1525, 1755, 1769, 1804, 1856, 1930, 1931, 2002, 2003, 2079, 2155.

500 მან. № № 1, 52, 53, 123, 124, 136, 209, 216, 221, 491, 492, 493, 494, 495, 604, 1052, 1193, 1303, 1833, 1834, 1839, 1840, 1841, 1842, 1844, 1846, 1849, 1904, 1905, 1906; 1,000 მან. № № 117, 180, 190, 191, 280, 293, 455, 468, 513, 550, 951, 952, 953, 1466, 1467, 1468, 1918, 2380, 2700, 2801, 2802, 2803, 2804, 2807, 2808, 3002, 3008, 3009, 3010, 3011, 3015, 3044, 3168, 3240, 3425, 4051, 4093, 4094, 4370, 4581. მე-88 ტირაჟში გამოსულ 5% გირავნობის ფურცლების ნომრები. 36 წ. და 4 თვისა. 500 მან. 1 სერია № 172, 1,000 მან. 1 სერია № 207; 61 წ. და 8 თვით; 100 მან. 1 სერ. № 992. უვადო 100 მან. № № 35, 143, 258, 260, 262, 306, 384, 385, 387, 861, 894, 895, 896, 897, 898, 1147, 1303, 1426, 1460, 1719, 1892, 1899, 1959, 2042, 2096, 2129, 2140, 2692, 2960, 2963, 3123, 3327, 3398, 3590, 3591, 3871, 3872, 3873, 3989, 5513, 5887, 6562; 500 მან. № № 59, 95, 145, 407, 480, 606, 728, 922, 923, 924, 961, 976, 977, 1212, 1213, 1346, 1486, 2192, 2481, 2486, 2567, 2776, 2981, 3199, 4015, 4860, 1000 მან. № № 256, 952, 1285, 1396, 1445, 1755, 3152, 4262, 5597, 5677, 6872, 8563, 8824, 8825, 13261, 13500, 13512, 13513, 13514, 13515, 13650, 13826, 14428, 15265, 15314, 15345, 16167, 17195, 17196, 17198. 975 1—1

ტფილისის

მაზრის ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილება.

ერობათა ცენტრალურ ბიუროსთან შეთანხმებით, ამა წლის 12—18 თიბათვეს ქ. ტფილისში, ერობის ბინაზედ, რუსთაველის პროსპექტი № 6 (გოლოვ. 6), საქართველოს რესპუბლიკის ყველა ერობათა საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგე ექიმთა ყრილობას იწვევს.

I. ყრილობის მიზანია:

1) გათვალისწინებული იქნას, თუ რა გააკეთა თვითეულმა ერობამ საექიმო-სასანიტარო დარგში.

2) გამორკვეულ იქმნას—გაკეთებული და ცხოვრებაში განხორციელებული ამა თუ იმ ერობის საექიმო-სასანიტარო საქმიანობა—იმზგავსება საზღვარ-გარეთის ერობის მეურნეობა სანიტარიას, ე. ი. მის ზოგად პრინციპებს და დებულებებს, თუ იგი სხვა გვარად მოეწყო ჩვენში.

3) თუ ჩამოსულ ამხანაგ ექიმების მოხსენებიდან გამოაშკარავდა ერობების საექიმო-სასანიტარო საქმიანობის სხვა და სხვაობა—გამორკვეულ იქმნას რამდენად მისაღებია და მიზანშეწონილი იქნება ეს ჩვენი სპეციალური საქმისთვის.

4) თუ ხალხის ჯანმრთელობისთვის ერობის მიერ მოწყობილი ს.-ს. ორგანიზაცია და საქმიანობა მიუღებელი იქნება—გამოინახოს ის გზები და საშუალებანი, რითაც შეიძლება ერობის საექიმო-სასანიტარო საქმიანობის გაერთგვარება და ერთ დებულება-პრინციპებზე აშენება.

5) გამორკვეულ იქმნას მომავლისთვის საექიმო-სასანიტარო საქმიანობის პროგრამა-სავალდებულო თვითეული ერობისთვის.

6) ჩამოსულ ამხანაგ-ექიმების გაცნობით და დაკავშირებით ნიადაგი მომზადდეს და საძირკველი ჩაეყაროს მომავალ გაერთიანებულ საექიმო-სანიტარულ დარგის მუშაკთა საქმიანობას და ერობის ექიმთა კავშირს.

7) გარდა ორგანიზაციული მუშაობისა და საპროგრამო საკითხების განხილვისა ყრილობა მოისმინოთ 10—15 შემდეგი თემის ლექციას: „უკანასკნელი აღმოჩენა-გამოკვლევანი მკურნალება—სანიტარიის სხვა და სხვა დარგებში“.

ლექციებს წაიკითხავენ ჩვენი ცნობილნი პროფესორები და ექიმები.

II. ყრილობის საპროგრამო საკითხები.

1) მაზრის ერობის საექიმო სასანიტარო განყოფილება და მისი გამგე ექიმი (უკანასკნელის მოვალეობა უფლებანი; დამოკიდებულება გამგეობასთან და უბნის ექიმებთან; მისი მოწვევა-დათხოვნის საკითხ; მისი ჯამაგირის, დღიურის გამორკვევა საზოგადოთ ყველა ერობებისათვის სახელმძღვანელოდ).

2) საერობო სამკურნალო უბანი (მისი სივრცე რადიუსი; უბანში მცხოვრებთა რაოდენობის საშუალო რიცხვი; საუბნო საავადმყოფო—საჭირო განყოფილებებით—მისი საუკეთესო ტიპი; საეპიდემიო ბარაკები; მარტივი დეზინფექტორის და აბანოს ნიმუში).

3) უბნის სამედიცინო პერსონალი (ექიმის, ფერშლის, ბებია-ქალის მოვალეობა უფლებანი; მათი მოწვევა-დათხოვნის უფლებრივი საკითხი; დამოკიდებულება მაზრის საექიმო საბჭოსთან და მაზრის ერობის გამგეობასთან; პერსონალის ჯამაგირი; პერსონალის დაზღვევის საკითხი გარდაცვალების და შრომის უნარის დაკარგვის დროს);

4) ერობის სანიტარული ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (სამაზრო სანიტარულ საბჭოს შემადგენლობა, უფლებები და მისი საქმიანობა; საუბნო სანიტარული საბჭოს შემადგენლობა, უფლებები და მისი საქმიანობა; საზოგადოების სანიტარული სამზრუნველოს შემადგენლობა და მისი ფუნქციები;

5) ერობა და წამლობითი მედიცინის მოწყობა;

6) ერობა და მოარულებთან ბრძოლა;

7) ერობა და მალარიასთან ბრძოლა;

8) ერობა და ჭლექთან ბრძოლა;

9) ერობა და დოსტაქრული საქმის მოწყობა;

10) ერობა და საყოველთაო სავალდებულო ყვავილის აცრა;

11) ერობა და ვენერიულ ავადმყოფობებთან ბრძოლა;

12) საერობო სანიტარული სტატისტიკა (ორ კვირეული სამკურნალო ანგარიშების ნიმუშები, თვიური ანგარიშების ნიმუშები, ზოგიერთი გადამდები სენისთვის ცალკე ბარათების ნიმუშები);

13) ერობა და თვალის ავადმყოფთა წამლობა;

14) ერობა და საბებიო გინეკოლოგიური დახმარება;

15) ერობის აფთიაქის მოწყობა—მისი ტიპი სოფლად და ქალაქად; წამლეულობის საწყობების მოწყობა; რომელი საფარმაცევტო ცენზის მოსამსახურე დასჭირდება ერობას;

16) ერობა და სულით ავად ყოფობათა მოვლა-პატრონობა;

P. S. 1) აუცილებლად საჭიროა ყრილობაზედ დასწრება ყველა ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილებების გამგე-ექიმთა და სასურველია თვითეულმა ერობამ ერთი ან ორი უბნის ექიმიც გამოგზავნოს, თუ ეს ადგილობრივი პირობებით მოსახერხებელი იქნება.

2) ვთხოვთ ამხანაგებს გარდა ადგილობრივ საექიმო-სასანიტარო საქმიანობის შესახებ მოხსენებისა—ყრილობის რომელიმე საპროგრამო საკითხზედ მოხსენება წარმოადგინონ.

3) ხუთ თიბათვემდე ჩვენ უკვე აქ უნდა დეპეშით ვიცოდეთ, თუ თვითეული ერობიდან რამდენი ამხანაგი—ექიმი მოდის ყრილობაზედ.

4) 11 თიბათვეს, საღამოს 7 საათზე, ერობის ბინაზედ ყრილობაზე ჩამოსულთ ამხანაგური შეხვედრა მოხდება.

5) თუ დრო ნებას მოგვცემს მოწყობილი იქნება რამდენიმე ექსკურსია სხვა და სხვა დაწესებულებებში: სამკურნალოებში, ჰოსპიტლებში, ინსტიტუტებში, ლაბორატორიებში სულით ავადმყოფთა კოლონიებში და სხვა.

6) ტფილისის მაზრის ერობის სასანიტარო განყოფილება ამხანაგების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ყრილობაზედ 11 თიბათვეს ჩამოსულთ სადგურის პირველი კლასის დარბაზში, გაზეთების კიოსკის მახლობლად, მარცხენა ხელზედ წითელი ნიშნით, მოიგებენ ბინაზე დები ნ და ერობის ავტომობილით ყრილობის წევრებისთვის დამზადებულ უფასო ბინაზე წაიყვანენ. 977 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

დროებითი რედაქტორი მიხეილ ნოზაძე.